A'more

ალექსანდრე ჩალაძე

# მოგონებათა ფლვარი



ალექსანდრე ჩალაძე
A’more

# მოგონებათა ზღვარი

თბილისი
2013

# შინაარსი

„ლექსი პირველი“ ..... 5
„შემოდგომის თაფლისფერი თვალები“ ..... 6
„მიუხედავად ყველაფრის“ ..... 7
„იცის და არ ჯერა“ ..... 8
„თვალები” ..... 8
„ყოველი დღის გათენება მიხარია“ ..... 9
„მე მინდა, შენ არ ვიცი“ ..... 9
„ჩემს მეგობარ ანას“ ..... 10
„ჭეშმარიტება“ ..... 12
„ძნელად საშოვარი ბედნიერება“ ..... 12
„ქარები გეტყვიან'' ..... 14
„დედას“ ..... 15
„მანოს“ ..... 16
„დეა ტყეშელაშვილს“ ..... 19
„გახსოვს“ ..... 20
„მეტი, უმეტობათა“ ..... 22
„სულის გამოძახილი“ ..... 22
„ერთხელ რესტორანში“ ..... 23
„ადამიანი, ანუ სატანა“ ..... 24
„მტკივა“ ..... 25
„მედეა კოლხს“ ..... 27
„თამარ ბეჟუაშვილს“ ..... 28
„ღ ა მ ე“ ..... 30
„მაგრამ რაღაც უეჭველად ვიცი'' ..... 32
„წაღმა წაიკითხე, შემდეგ უკუღმა“ ..... 40
(მაია ზარანდიას) ..... 48
„ღრუბლიანი ღამე“ ..... 48
„აღდგომას'' ..... 49
„ამპარტავნება“ ..... 51
(ნიკოლოზ ლაშხიას, პასუხის პასუხი) ..... 53
„გიგა ჭაავას“ ..... 54
„მანეტო“ ..... 59

## რედაქტორისაგან

*მივყვები ბოლნისის ქუჩებს და გაზაფხულის სურნელებით სავსე ჰაერი თითქოს სხეულს მიმსუბუქებს, მეჩვენება რომ მიწას ფეხს ვერც ვაკარებ და ქუჩაში გამოფენილ მომღიმარე ბოლნელებს სიხარულით შევცქერი. აგერ ერთი ახალგაზრდა მოდის თეთრი ფურცლების დასტით ხელში და მოწიწებით მთხოვს გავეცნო მის ნაწერებს „იცით მე ლექსებს ვწერ„ - მეუბნება და ქაღალდების დასტას მაწვდის. სწორედ ასე გავიცანი ახალგაზრდა პოეტი ალექსანდე ჩალაძე, რომელიც უამრავი ლექსის ავტორია. მისი ლექსები გულუხვად გადმოსცემენ სიყვარულსა და იმ თავგანწირულ სულის ყივილს რასაც სამშობლოს მონატრება და მშობლიური კუთხის აფხაზეთის ტკივილი ჰქვია. ალექსანდრე აფხაზეთშია დაბადებული და ბუნდოვნად ახსოვს მისი ქუჩები, მაგრამ გრძნობს შორეული ტკივილით გამოწვეულ სითბოს, ყურში ჩაესმის ჩურჩული ზღვისა რომელიც ეძახის მის შვილს და უხმობს დაბრუნებისაკენ. ის აღნიშნავს რომ „ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით, მე იქ გავზრდი შვილებს და სოხუმის მადლიან მიწაზე დავიდებ ბინას“ ეს სევდა თან სდევს მის ლექსებს, რომელიც ტკივილმა და განცდამ პირველად თექვსმეტი წლის ასაკში დააწერინა. შემდეგ იყო ლტოლვილობაში გალეული დღეები, მოლოდინით დაღლილი გახუნებული წლები, რომელსაც ჯერაც არ ჩაჰქრობია დაბრუნების ნაპერწკალი. სტუდენტობა, ბოლნისი, რომელმაც მიიღო და მოეფერა ახალგაზრდა ბიჭს. სიყვარული, რომელსაც უძღვნის ლექსების უმეტესობას.*

„ზღვის ფერი გაქვს თვალები და თავად გევხარ ზღვას,“
ნუ გამწირავ გევედრები, ნუ ენდობი სხვას,
ფიქრებით და მონატრებით ნუ იტანჯავ თავს,
წარსული და შეცდომები გავატანოთ ქარს.

შენზე ცუდის გამფიქრებელს არ ვაცოცხლებ წამს,
და თუ ვინმეს სათქმელი აქვს, მოვიდეს და თქვას,
თუ გიყვარვარ, თუ მენდობი და თუ ჩემი გწამს,
ჩემს დარდებს და ჩემს ტკივილებს მივუხურავ კარს.

თუ კი, გრძნობა გაგიჩნდა და ჩემთან ყოფნა გსურს,
არ თქვა რაღაც მაბრკოლებსო, ნუ უბრძანებ გულს,
ამ ნაბიჯის გადადგმასაც ნუ დაარქმევ რთულს
მე შენს მეტი არვინ მინდა, შენთან ყოფნა მსურს''.

*ასე უყვარს ალექსანდე ჩალაძეს და ასე სწამს. ვფიქრობ მის ლექსებში გადმოცემული ამ დიდი გრძნობის სიცხადე უფრო მეტად შეიგრძნება და მის ლექსთა კრებულსაც გამიზნულად შეერჩა სახელი „მოგონებათა ზღვარი“ რადგან საკმაოდ ახლოსაა ეს გრძნობა მასთან და მის პოეზიასთან.*

*მინდა გზა დავულოცო ნიჭიერ ახალგაზრდას, იმ დიდ ასპარეზზე სადაც იწყებს მოღვაწეობას. რჩეულთაშორის ჩადგომა ვუსურვო რადგან მას ამის დიდი პოტენციალი გააჩნია. ის ხომ აფხაზეთისა და ბოლნისის მადლიანი მიწის შვილია. „მოგონებათა ზღვარი“ კი ნამდვილად დაიმკვიდრებს ადგილს იმ პოეტების წიგნების გვერდით რომლებსაც უკვე ვიცნობთ საბას მიწელები.*

***დარეჯან ოქრუაშვილი***

## „ლექსი პირველი''

ისევ გათენდა დილა მშვენიერი
მერცხლებმა იწყეს სტვენა
როდის ვიქნები ნეტავ ბედნიერი
ამის მე აღარ მჯერა
გაივლის დრო და გაივლის ხანი
ცოცხაალი ვიქნები ნეტავ?
მოვა გაზაფხული ისევ მშვენიერი
და დამივიწყებს ყველა
ისევ მომინდა ტირილი ხალხნო
მაგრამ ტირილის მიზეზს ვერ ვხედავ
მოდი მოიწი შენ ჩემთან ახლოს
თორემ ღამეა, ბნელა, ვერ გხედავ
რა ლამაზია ეს სიყვარული
ყველასთან მოვა ერთხელ
უცებ აგაფრენს ღრუბლებში მაღლა
და ისევ დაგახეთქებს
ეს სიყვარული წამიერია
როგორც სიცოცხლე ჩვენთვის
ყველას გონია  ბედნიერია
და ეს მათ არასდროს ესმით.

**22.04.2007**

## „შემოდგომის თაფლისფერი თვალები“

შემოდგომის თაფლისფერი თვალები
უძირო და ღრმა წყვდიადში მითრევს
დალალი კი, როგორც ცეცხლის ალები
ხოლო თვითონ უბრალო თმას ირქმევს.
ტუჩებს მე კი ვვარაუდობ ვარდის
გაზაფხულის სურნელი რომ ასდის.
მე ამდენი სიტყვის თქმა რომ გამდის
შენ რას ფიქრობ?...ვითომ თითქოს არ ღირს..
შენი ხმა კი მთავარია როლში
ჩემი გულის ძგერას ასე რომ შლის.
შენთან ყოფნით მე რომ ასე ვთბები
ნუ თუ ერთხელ არ ამოვა ფრთები.
მინდა ერთხელ ჩამახედო გულში
მარტივს ალბათ ვერ იპოვნი რთულში,
მე ცხოვრება ცალი თვალით ვნახე
და იმ ერთში მე, შენ დაგინახე.

**23.04.2010**

## „მიუხედავად ყველაფრის“

შენს ალერსს ალბათ ბევრი ნატრობს დაუღალავად
შენ კი ამაყი, თავმდაბლობა უცხოა შენთვის
მეც ვინატრებდი შენსა ალერსს დაუფარავად
მაგრამ რად მიღირს, თუ შენი გული  ჩემსას არ ერთვის.
შენი ტუჩები ჩემთვის მართლაც უცხო ხილია
ჩემი სურვილი ოცნებებმაც აღარ იწამეს
ანგელოზი კი, მე ამ ქვეყნად, არ მიხილია.
შენ  ერთადერთი დაიარები დედამიწაზე.
შენზე ფიქრებში მე ბევრი ღამე დამთენებია
შენი ყურებით ვეღარ ძღება ჩემი თვალები.
შენდამი გრძნობა მე არასდროს გამნელებია
მიუხედავად გარს მხვევია ბევრი ქალები
როცა ვერ გხედავს ჩემი თვალები, ყოველ წამს გნატრობს
ჩემი გული კი იყინება, მაგრამ ვერ ხვდება
მიუხედავად ყველაფრისა, შენ ჩემი სატრფო
რაც უნდა მოხდეს, არ არსებობს, მაინც გერქმევა.
სიტყვა ბევრს ნიშნავს,ბევრის თქმა მიჭირს
ვცდილობ გარჩევას, ვერ ვარჩევ ფერებს
და ცხოვრებაში ბევრი რამ მიკვირს
ვეცდები ამას ცხოვრების მერე.
ცოტა ხნით წასვლას თუ დავაპირებ
ნუ დაიბნევი, ცუდს არ ვაპირებ
და როცა მოვალ, ნუ მკითხავ ვინა ხარ?
პასუხი იცი, გეტყვი მიყვარხარ !!!

## „იცის და არ ჯერა“

თეთრად ღრუბლებში მოფარფატე თეთრი თოლია
ამ ქვეყანაზე შენ ერთადერთი დაფრინავ ჩემთვის,
მინდა ვიფიქრო ყოველივე, რაც არ მგონია
უნაკლოებას რომ ეძებ მასში, ის უარს გეტყვის
ნაცრად ნუ აქცევ ამ ბოძებულ ჩემსა სიყვარულს
ან ნუ დაარქმევ ამ ყველაფერს ჩემგან მიქარულს.
მაგრამ, ისარი შენ რომ მესროლე, მე მომხვდა ფრთაში
ის არის სწორედ ხელს რომ მიშლის ფრენასა ცაში
ყოფა კარგია, როცა გიყვარს, მასაც უყვარხარ
ვისაც არ უყვარს და არც უყვართ, ის ხომ ცოდვაა
აღარასოდეს მე არ გეტყვი, ცივი თქო ნუღა ხარ
რად გინდა, ეს ხომ მძინარე კაცის უაზრო ბოდვაა
ხშირად მოგიწევს მოისმინო ჩემი ლექსები
არ მოგაბეზრო მეშინია, თავი ვეცდები
რა უარს მეტყვი, სწორედ მაშინ მართლა შეცდები.

## “თვალეგი”

ზღვის ფერი თვალები გაქვს და თავად გევხარ ზღვას
ნუ გამწირავ გევედრები, ნუ ენდობი სხვას
ფიქრებით და მონატრებით ნუ იტანჯავ თავს
წარსული და შეცდომები გავატანოთ ქარს
შენზე ცუდის გამფიქრებელს არ ვაცოცხლებ წამს
და თუ ვინმეს სათქმელი აქვს, მოვიდეს და თქვას
თუ გიყვარვარ, თუ მენდობი და თუ ჩემი გწამს
ჩემს დარდებს და ჩემს ტკივილებს მივუხურავ კარს.
თუ კი გრძნობა გაგიჩნდა და ჩემთან ყოფნა გსურს
არ თქვა რაღაც მაბრკოლებსო, ნუ უბრძანებ გულს
ამ ნაბიჯის გადადგმასაც ნუ დაარქმევ რთულს
მე შენს მეტი არვინ მინდა, შენთან ყოფნა მსურს.

## „ყოველი დღის გათენება მიხარია“

ყოველი დღის გათენება მიხარია
მიხარია და უზომოდ მაოცებს
ამ ქვეყნად ჩემთვის ხომ ის ერთი ქალია
ჩემს ფიქრებში მხოლოდ მე რომ მაკოცებს.
სწორედ მისი სიყვარულით შემიძლია
გავაგრძელო უხალისო ცხოვრება
სხვისთვის ალბათ ეს გრძნობები მოკვდავია
ხოლო ჩემთვის, სიყვარული ქონება
როცა ფიქრობ დარია, სწორედ მაშინ ავდარია
შენ რომ ფიქრობ მტყვანია, არა იგი მართალია
როცა გინდა შორს იყვნენ, მაშინ თურმე აქ არიან
ჩემს გულში რომ ზაფხულია, შენში მაინც ზამთარია.
თუ არ გიყვარს, მაინც უნდა გჯეროდეს
შენი გრძნობა სიღრმეშიც რომ მღეროდეს
მინდა ვიყოთ ცხოვრებაში სიყვარულით მთვრალები
მიყურებდნენ შემოდგომის თაფლის ფერი თვალები.

## „მე მინდა, შენ არ ვიცი“

მინდა ჩაგეხუტო, მინდა მოგეფერო
მინდა სიყვარული, მინდა
მინდა ეგოისტი ვიყო, მინდა მხოლოდ ჩემი იყო
მინდა შენთან ყოფნა, მინდა
მინდა ერთი ვიყო, მხოლოდ შენთვის ვიყო
მინდა მეკუთვნოდე, მინდა
გინდა ჩაგეხუტო? გინდა მოგეფერო?
გინდა რომ მიყვარდე? გინდა?

## „ჩემს მეგობარ ანას“

შენში რომ ვნახე სულის სიწმინდე
მე რომ ვტირივარ, დარდს რომ ავავსებ
მაშინ მოხვედი, ცრემლი მომწმინდე
და სათნოების გრძნობით ამავსე.
შენ ისე თბილი, ჩემი გული ისე გაათბე
მეგობრის ფასი მაშინ მივხვდი თუ რას ამართლებს
როცა მოხვედი ეს სიყვარული მაშინ დაანთე
და ღვთის წყალობა ჩვენს მეგობრობას ისევ ანათლებს!

***

წკრიალი, ღამეა, რეკს ჩემი მობილი
მძინარეს შენი ხმა ჩამესმა მგონია
ბატონო, ვინ ხარ?! - ეს მე ვარ ლტოლვილი
შენი ნომერი შემთხვევით მქონია
ბატონო?...ვერ ვხვდები მითხარით, ვინახართ?
როგორ, ნუ თუ შენ აღარ გიყვარვარ?
კი მაგრამ სახელად რატომ გაქვთ ლტოლვილი
ტირილის ხმა მესმის, გათიშა მობილი...
გავიდა წუთები, იგივე დაიწყო
ეს ისევ თქვენ ხართ? არა, მომიგო!
რა გნებავთ მითხარით?...ტირილი დაიწყო
მითხარით, იქნებ მივხვდე თუ რა იყო
მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!
ეგ გასაგებია, მითხარით ვინახართ?
ცოტახნით შეწყვიტა ტირილი გაჩერდა,
თქვენი თვალები მე რომ ვერ მამჩნევდა
ნუ თუ ეს თქვენ ხართ? მითხარით პასუხი
კი საყვარელო.....ეს სწორედ მე ვარ
-შენი სიყვარულის ბეჩავი ლტოლვილი
ამჯერად დადუმდა მისი მობილი...

***

მე შენ გაჩუქე ლამაზი წუთები,
გადაგაქციე ადამიანად
გადი გაიწი, ნუ მეხუტები
გამანადგურე შენ მე მთლიანად.
არც კი გაგელებს შენ ჩემი თავი
ნუ თუ ვერ ხვდები რა დააშავე?
შენ ისევ გახდი ისეთი ავი
როგორც იყავი შენ თავიდანვე.
მე ხომ ყოველთვის ვფიქრობდი შენზე
ყურადღებასაც კი არ გაკლებდი,
მაგრამ შენ ესეც არ დამიფასე
და ამის მერე მეც შევიცვალე.
მე შენ შემცვალე შენი ქცევებით
აღარ შემეძლო ამის ატანა,
მე ხომ ამევსო თვალი ცრემლებით
შენც ეგ გინდოდა, ჩემი დატანჯვა
და ამ ყველაფრით რა გააკეთე
შენ უკვე დარჩი სულ მარტოდ-მარტო
მე უკვე წავედი სასუფეველში
და იქაც ყოველდღე სულ შენზე ვდარდობ.

## „ჭეშმარიტება“

ჭეშმარიტებას ვერ ჰპოვებ კენტად
ხორცშესხმულია ყოველი ფიქრი
ვერ შემიყვარებ შენ ჩემზე მეტად
ამ სამყაროში ვით თოვლის ფიფქი
მიწვდომელი სისპეტაკე ჭარბად დევს შენში
და ამ უმანკო გრძნობით, მინდა მოვიდე ახლოს
ასე შორს ყოფნა ადრე თუ გვიან მე მაინც შემშლის
მე ოცნება მაქვს, რომ ჩემი ტუჩი შენს ბაგეს ვახლო
მე მარტო ვზივარ ბუხართან ვთბები
ოცნებას მინდა შენდობა ვთხოვო
მინდა ცხოვრებამ მიბოძოს ფრთები
მაგრამ უფლება, ფრენისა მხოლოდ.

## „ძნელად საშოვარი ბედნიერება“

დაღამდება ისევ ღამე ნათელი
თითქოს მთვარე გულშიაც კი ჩაქრა,
თურმე ენთო ერთადერთი სანთელი
დიდი ხანი არეწერა, გაქრა.
თენდბოდა დილა, მაგრამ ბნელი
არეული იყო ქვეყნიერება,
ვეძებე და ვერა ვპოვე ძნელი
საშოვარი, ქვეყნად ბედნიერება.
გაირბინეს უმნიშვნელო წლებმა
უაზროა ფიქრი თითქმის ყოველი
აქ წესები დაადგინეს მგლებმა,
ადამიანს როგორ გვჯობნის ცხოველი?!
როგორც იქნა სწორ ბილიკზე დავდექით
აქეთ-იქით გავაცეცეთ თვალები

ამ სწორ ბილიკს ჩვენებურად გავყევით,
თითქოს ვიყოთ უსაშველოდ მთვრალები.
ათებული იყო გრძელი ბილიკი
განვლილი გზა ნელა-ნელა ქრებოდა
და ისმოდა უეცარი კივილი
ის კვდებოდა, ვინც ჩვენ არ მოგვყვებოდა.
იქ ბოლოში მართლა რაღაც გველოდა
ჩვენ ვჩქარობდით რათა არვის გაესწრო
იქ მივედით, მართლა გველოდებოდა
ის ჩვენს მეტს ხომ აღარავის მოესწრო.

***

მე უკვე ბევრჯერ გითხარი მომწონხარ
ახლა ამის თქმა ნამდვილად ძნელია
გულს ვკითხე ასეთი თბილითქო როგორ ხარ?
დადუმდა, ვიფიქრე მე აღარ მელიან
ატირდა გრძნობების პატარა კრებული
მესროლეთ, მომკალით, მას აღარ ვუყვარვარ
ის გრძნობა არის ღვთისაგან ქებული
ყვირილით მინდა, გითხრა მიყვარხარ
ვარდის სურნელიც შენს თავს მახსენებს
ამხელა გრძნობა ჯერ არ მქონია
როცა კი გხედავ ვგრძნობ არ მასვენებს
ხოდა რაც მტანჯავს, სიყვარულია
ამ ქვეყნად შენს მეტს არვის ვინატრებ
როდისმე ალბათ შენც შემიყვარებ...

## „ქარები გეტყვიან''

შენი ტუჩების სურნელი ვარდის
მთვარიან ღამეში ვხედავ შენს აჩრდილს
დრო არ ჩერდება, წამები გარბის
დამთენებია ძებნაში კვალის
დასასრულისკენ მიდის ცხოვრება
არ მეშინია! მივუგებ სიკვდილს
შორით ჩამესმის სულის გოდება
შენი თვალები მომგვრიან ტკივილს
მეტყველებს ბევრზე შენი თვალები
შენი სინაზე, მოლაჟვარდე კვირტია ვარდის
შენს ეშხს შერისხავენ ცეცხლის ალები
ვარდის სურნელი ეს არის ქალის
გამშორდი და თან წაიღე ეს გული,
შურით აღსავსე თვალები გქონდა
შენდამი მართლა ვიყავი ერთგული
სიო ბოროტი ქარივით ქროდა
იღვიძებს გღდნობა შენი ჩემდამი
შენც ხვდები რომ ეს არის გვიანი
აღარ გაგიღებ ამ გულის კარებს
პასუხი გინდა? მოტხოვე ქარებს...

## „დედას“

თითქოს წასვლას ვაპირებდე სადმე
თითქოს ჩემი ქარი აღარ ქროდა
თითქოს აღარ დამრჩენოდა საქმე
დედის გული თითქოს რამეს გრძნობდა
მე მივაკითხავ ჩემს  სამარეს თეთრი სუდარით
ქალი შავებში, ჩემს თავს შეთხოვს უფალს მუდარით
შვილის სიკვდილი, გამწარება მისთვის ეგ იყო
ქალი შავებში, გულჩამწყდარი ჩემი დედიკო,
ვგრძნობ რომ სველდება ჩემი გული დედის ცრემლებით
მინდა შევეხო ცრემლი ვწმინდო ცივი ხელებით
მე ახლა მივხვდი თუ რას ნიშნავს დედა-შვილობა
მთავარია არის: რწმენა, დედა და მერე ზრდილობა.

***

ოკეანეში დაკარგულ ნავს ვგავარ
გულში რომ პატარა კოცონი ენთო
ჩემს გვერდით ყოველთვის, მუდამ შენ დგახარ
გთხოვ ნუ გამწირავ მოწყალე ღმერთო
სავსეა ცოდვით ჩემი სავანე
შენდობასა გთხოვ მამაო ყოვლისა
მე უღირსი ვარ რატომ დამბადე
მეწიე მუდამ, პირველყოვლისა
დამნაშავენი მხოლოდ ჩვენ ვართ
ყველა შენდობა ვერა შევირგეთ
უგნურებითა ცხოველებს ვგავართ
მიტევებული მაინც ვერ შევიგნეთ
ატირდებიან, კვნესიან ზარები
ალბათ ისინიც გრძნობენ ამ ცოდვებს
დაიხურება სამოთხის კარები

მიწას გვაყრიან განუხრწნელ გვამებს
გამიხსენებენ?! მე გახსენების ღირსი არა ვარ
ღვინოს დამასხავენ გაყინულ გულზე
და დავიყვირებ მე თქვენ-თანა ვარ
ჩემი სული კი გაკოცებთ შუბლზე.

## „მანოს“

მინდა გაკოცო გულის ტუჩებში
ფიქრი გავაგდო გულის სიღმრიდან
და შენი სახის ნათელ შუქებში
შემოდის სითბო ღამის მინდვრიდან.
სულ ცხრა მთას იქით რომ ვიყო მარტო
და სიახლოვე ვერ ვიგრძნო შენი
დღისით ღიმილს და სიხარულს რატომ?
ბოლოს მომიღებს სიშორე ბნელი
იცი გულიდან რას გიძღვნი მანო?
იმ სიყვარულის, განა დიდების
რომ გავაცილეთ იმ ღამეს ანო
კვალს რომ ტოვებდი ანატირების.
შემოგევლები, გულში ჩაგიკრავ
მკლავებს გაგიშლი გულის მხარისკენ
მერე სევდიან მუსიკას დავუკრავ
რომ გაგაცილებ ათში ანისკენ.
ვიტიროთ მერე ორივემ კენტად
სანამ ცრემლები დაგვემონება
ჩვენ მეგობრები ვიქნებით მუდამ
და მეგობრობის დაგემოვნება.

***

გული მტკივა, საგულედან ამოვარდნას რომ ელის
ღამეს ფიქრი გავუმხილო, მეშინია გამექცეს
ერთი ბოთლი ღვინო მინდა, ამ საღამოს რომელიც
დალევამდე ერთი წუთის წინ რომ უცებ დამექცეს.
მინდა სევდამ გაარღვიოს უკუნეთი ქაოსი
დავიტანჯო მინდა მარტო, სხვას რას ვერჩი სრულიად
სულსაც მინდა შემოეხეს მისი ტანისამოსი
მეშინია, ამ სამყაროს, დადგა აღსასრულია.
რატომ ვიწვი ნეტავ ასე, რატომ მტკივა გული მე
თუ შევცვალე აწი რამე, რასაც აღარ მოველი
ვაის თითქოს გავეყარე, შემეყარა უიმე
თუ კი რამეს შევხებივარ, გავაფუჭე ყოველი.
და თუ ოდეს ვუკვირდები სულ რომ მტკივა რაღაცა
ვფიქრობ ისევ მე ვაშავებ, აღარა აქვს მნიშვნელი
გრიგალია ჩემს სხეულში, ამ ჩემს გულში აქაცა
და თუ მე არ ვეცადე, შენ ვერაფერს მიშველი.
(და თუ ოდესმე არ დახედავ შენს ნაიარევს,
მაშინ არცერთი სულიერი არ გაღიარებს...)

***

თუ კი გრძნობამ მოატკბო სიყვარულის ფერები
და გამრავლდა უაზროდ, ეს ფერები ხალასი,
თუ ვერ გახდი სრულიად ჩემთვის მოსაფერები,
არც მე მინდა ვიყო და, არც შენა ხარ ლამაზი.
მოელვარე წამწამებს სიო ელამუნება
როგორც ღამის პერანგი, დასაწოლად ქალიშვილს,
მინდა ფიქრი დავხატო, გაზაფხულის ბუნება,
წერას შეიძლება და, ხატვას ვინღა დამიშლის?
გული ისე კანკალებს, როცა ქალის გულია

თანაც შეყვარებული სიყვარულზე თუ არის,
კაცის გული თითქოს და, სადღაც გარიყულია,
როცა ქალის გულისგან მიუღია უარი.
მიხარია სიცოცხლე, თან ძალიან ლამაზი
მინდა ყველა სიყვარულს, გრძნობა რომ უხაროდეს,
მენატრება ფერების ის უაზრო ხალასი,
მე კი შეყვარებული, მინდა ვიყო აროდეს !

***

მარტო ვზივარ ოთახში, ფანჯარიდან ნიავი
შემოაღებს ფარდებს და ფერფლად გადაიქცევა.
სკამზე ხილის ასსორტი, ატამი და ქლიავი,
იქვე ღვინო ჭიქაში, თეთრ პერანგზე იქცევა.
რაღაც სიბნელეა და სიმარტოვე მაშინებს
მგონი მორჩა, ცხოვრება ჩემი,  სიბნელეშია,
რად მინდოდა ნათელი, რად მინდოდა მაშინ ეს
საშინელი ხორცი და საშინელი ლეშია.
მე დავკარგე გონება, რაღაც ბასრი საგანი
გულის სიღრმეს მიწვდა და, სიკვდილ გამოიწვია,
მომეჩვენა თეთრად რომ დამეხურა საბანი
თეთრად მომეჩვენა და, გაბრიელი მეწვია.
ჯერ ადრეა სიკვდილი, ცოტას კიდევ ვიცოცხლებ
სადღაც ოცდათექვსმეტი  წელიწადი შევნატრე,
მას შემდეგ კი 17- გაზაფხული ვიცოცხლე
რომ ყოველდღე უთუოდ, ერთადერთი მენატრე.
დავამსხვრიე სიგიჟე, წამების წინ ქცეული
ეს დაჭრილი გული კი, ბევრჯერ ამტირებია,
ხოდა ჩვეულებრივად სიკვდილს მე გაქცეული
ერთ პატარა სიზმარში ობლად დამსიზმრებია.

## „დეა ტყეშელაშვილს“

შენში აღწერს უკვდავება ამბორს
მოგაშორებს ნაღველსა და სევდას,
ვინმე კაცი ზღაპარს თუ გიამბობს
ან თუ ვინმე არ გიტირებს დედას.
მინდა მხოლოდ სიკეთესთან ახლოს
მხოლოდ ლექსი არ აღიქვა წერით,
უკიდურეს სივრცეში რომ გნახოს,
თავმოკლული, კაცმა დიდი წვერით.
სიყვარული სათამაშო არის
სიძულვილი გაქროლება ქარის,
სიხარული ემოცია მთქმელის
ყოველდღე რომ გახარებას ელის.
არ მინდა რომ მე ვუყურო მოთქმას
ქალის, რომლის შესახებაც ვიცი,
მოგიწოდებ დეა, ევას მოდგმას,
არ დაგჭირდეს აღარასდროს ფიცი.
მტკიცი იმის შესახებ რომ ხალხთა
ფენა არის მდაბიო და ცუდი,
შენ არ შექმნა მომპარავი კალთა
არ  გეგონოს თავი „რობინ  ჰუდი“
ყველაფერი რომ გეკიდოს, არა!
გაატარე ეს ცხოვრება ტლანქად,
რაღაც აზრებს უნდა უთხრა, კმარა
ყველაფერი კი იქნება კარგად.

## „გახსოვს“

გახსოვს წვიმაში, ბურუსი, ნისლი
სცენარი ერთი, დუბლი მეორე
ჩვენ სიყვარული გამოვიგონეთ,
უსიყვარულოდ გავიმეორეთ
გახსოვს ზამთარი თოვლის გარეშე?
სიცივის გარდა სითბო გვათოვდა
მე გაოცებით გავითარეშე
რომ მე, შენს მეტი არვინ მახსოვდა.
გახსოვს? შენს მეტი არ მყავდა არვინ
შენ ერთს გიბოძე არსება მთელი,
შენში ვიპოვე სიმშვიდე, და ვინ
ვინ დამიფასა? მე დღესაც გელი.
ვათვალიერებ სურათებს კრძალვით
რომ დამიტოვე სახსოვრად ოდეს,
და დამალულად, საოცრად მალვით
ვკოცნი შენს ტუჩებს, ვითომ და მქონდეს
მე დღესაც გნატრობ არ იცი შენ და
მინდა გაიგო, რომ დღესაც გნატრობ
როცა მაწვება უხეშად სევდა,
იმ გრძნობას ისევ, მე ღვინით ვათრობ
იცი ძნელია გხედავდე მარტო
შენ ჩემს გარეშე, თუნდაც პირიქით
როცა კითხვებს ვსვამთ ორივე, რატომ?
როცა ვიგონებთ ერთმანეთს ტირილით.
იქნებ გიყვარდი, თუ მე ვიგონებ?!
ან იქნებ გძულდი, სულაც ძალიან
შენ შეგიძლია თუ მოინდომებ...
ან სულაც იქნებ, ჩემი ბრალია.
მაგრამ თუ მოვკვდი, ვიცი არ მოხვალ
მჯერა შენ გახსოვს რაც გთხოვე ერთი,
შენ შავი ვარდით საფლავთან ამოხვალ,

შენი ცრემლების მასველებს წვეთი.
მიყვარხარ, მიყვარხარ! ვარდების სურნელს
მე იქაც ვიგრძნობ, მჯერა ძალიან
მე ჩემს თავს ისევ, ვუწოდებ სულელს
და ალბათ მაინც, ჩემი ბრალია...

***

დაგეწეოდი, რომ გაიქცე სადღაც შორისკენ,
და გასწრებაზე თუ სიზმრებში ვიოცნებებდი
სამარადჟამოდ აცრუებულ ტურფის ტრფობისკენ,
მე ხომ მიმართულ აღელვებას გრძნობით ვეძებდი .
მე დაგეწიე, არ გაქცეულს, არსად წასულხარ
მაგრამ თან გასწრებ, შენ არ  იცი, დაგემშვიდობე
ჭეშმარიტების შენ ბეწვის ხიდზე უკვე ასულხარ
და აღელვება მხოლოდ ღამე, ღამე მინდობდეს.
იცი დაგტანჯავ, ბედნიერებას ჩემში ნუ ცდილობ
მე შემიძლია ამ სიკეთით ქალად გაქციო,
ამბოხებული მლიქვნელობა შენში ნაწილობრ
მე უკიდურეს ჭეშმარიტებად მინდა ვაქციო.

## „მეტი, უმეტობათა“

მეტი არსება, მეტი სითბო, უსასრულობა
მეტი კოცნები, უფრო მეტი მოფერებისთვის,
მეტს შევარჩევდი, რომ მეპოვა უსასრულობა
სიყვარულია უფრო მეტი მომენტებისთვის .
მე კი გონზე ვარ, მეტი მინდა უმეტობათა
ფრთებს გავშლი, მეტი სიძულვილის დასაფარავად,
მე შემძლებია მაგ ტუჩების თურმე ტკბობათა
აზრის მიცემა, ექსტრაქტების მოსაპარავად.
მეტი სიმართლე, უმეტესი გრძნობის ფერება
მეტი ფიქრები უგზო-უკვლო დასაბიმისა
მეტად მიყვარხარ, უფრო მეტად მოგეფერება
ეს შენზე ფიქრის სონატაა, ტანჯვა ღამისა.

## „სულის გამოძახილი“

მუხლების კანკალით გავივლი სამარეს
ჩუმად რომ მიმათრევს სიბნელის მორევში,
სულს ხორცებს დავახევ, მძიმეს რომ ატარებს
და სიკვდილზე ფიქრებს იმ წამსვე მოვეშვი.
მძულხართ უკლებლივ სუყველა, გესმით?
არ იცით, გინდა მომკალით მერე
თოფი რომ გქონდეთ ახლავე მესვრით
რათა მე ჩემი ფიქრები ვწერე.
მეზიზღებოდნენ მდგომები მაღლა
მე დღეს მოვკვდები ხორციელ ფიქრად,
და მეტყობოდა ოდესღაც დაღლა
როცა მოვედი მე თოვლის ფიფქად
როცა ბაგენი ჩემი ტყუოდნენ
მაშინ ყურებიც ოდნავ ყრუოდნენ,
და სიმწარეში განცდა ტკივილის

როცა ჩაგესმის ხმები ტირილის
ასე ვიტანჯე ოდესღაც როცა
არ მქონდა ძალა რომ დავრჩი მარტო,
მე სიყვარულმა სიცრუე მომცა
და მკვდარსაც მტკივა, არ ვიცი რატომ...

## „ერთხელ რესტორანში“

ერთხელ რესტორანში ზარმა დარეკა
და თავი მეგონა სკოლაში,
ერთმა უცნობმა გოგონამ გარეკა
და რძე ჩამიღვარა „კოკა-კოლაში“
მან რათქმაუნდა სიცილი დაიწყო
მე კი მომიშალა ნერვი,
მერე უბეში მარწყვები ჩაიწყო
ჩემი მაგიდიდან ბევრი.
ახლა მე უკვე ძალიან გავბრაზდი
და უმალ შევუბრუნე სიტყვა,
თქვენ როგორ ფიქრობთ ამით მე გავბანძდი თუ?
გამაწყვეტინა სიტყვა
ახლა უარესი მოხდება იცოდე
და თუ არ გინდა რომ მოხდეს ასე,
პარლამენტარის შვილი ვარ, მიცნობდე,
რძიანი ჭიქა დაცალე სავსე!
ახლა მე სისხლი ჩამექცა თავში
შემოვიბრუნე All Star-ის ქუდი,
ძალა მოვიკრიბე რაც მქონდა მკლავში
რას ერჩი ის რძე არ იყო ცუდი.

## „ადამიანი, ანუ სატანა“

რა არის იცი ადამიანი?
ვერც გაიფიქრებ ის თუ რა არის
უფრო ხშირად ის მეტყველებს არასწორს
და იგი თურმე არ ინდობს თანასწორს.
ცოდვებს მოყვება შეცდომაც ბევრი
მერე პასუხებს მოითხოვს, ვისგან?
დაგმობენ უფალს და მეტს ითხოვენ
ბოლოს მიაღწევენ შერისხვას ღვთისგან.
ღმერთო მოგვხედე, რასა ვიქმთ ხედავ?
უბრალო მოკვდავნი ამდენს რომ ვბედავთ
თუ, გინდა უფალო რომ იყოს ასე?...
დავიარებით ცოდვებით სავსე
და თანასწორი არვინ არაა
ზოგი მაღლაა, ზოგი დაბლაა
რატომ დაუშვი, გამტყუნებ განა?
ულირსნი ვართ და ღირსნი ვართ განა?
ზოგი შენს სახელს არ აღიარებს
ცხოვრებას უტოვებს ულევ იარებს
მუხლს კი იყრიან რაღაც ცრუ კერპთან
მაგრამ დრო მოვა და მოვალთ შენთან
ჩვენი მანდ მოსვლა სწორია ვითომ
გაგვიჭირდება ცეცხლის ატანა
სულს გაყიდიან გადარჩნენ თვითონ
ფულით ხელში კი დაგვხდება სატანა
ცხოვრების გზა კი მოკლეა ძალზე
არჩევანი ჩვენ გვქონდა უსაზღვრო
ჭეშმარიტება გავცვალეთ, რაზე?
ყოველი ეს კი მოჩანდა უაზრო
მოდი ნუ ვიტყვით აუგებს მასზე
ვინაც შეგვქმნა და ვინაც დაგვბადა
ნუ ვიტყვით, ვითომ მეტი ვართ სხვაზე

ვეწიოთ რწმენას სანამ განქარდა
გავიღოთ ყოველი, რაც გვაქვს ქონება
ესაა სწორედ სულის ცხონება
თავგზას კი მაინც გვირევენ ეჭვები
ამასობაში დაბლა ეშვები
და მოგიწოდებთ, ხალხნო გონს მოდით
ეშმაკს არ ძინავს, არა ქნათ ცოდვით
სანამ კი დრო გვაქვს კარგი ვაკეთოთ
კეთილი საქმე ჩვენს სასიკეთოდ.

## „მტკივა“

თოვლი იყო, მაგრამ იდგა დარიც
თოვდა, ისე გამეტებით თოვდა
იყო ბოლო ჟამის ქარი
ხალხი უფალს შეწყალებას თხოვდა
იღებოდა მოწყალების კარი
ღმერთმა შეიწყალა ყველა
შუქი ჩვენ გვენატრებოდა მთვარის
თითქოს ჩვენზე იყო რაღაც წყევლა.
მეტირება ყოველივე სატკივარი
ღმერთმა ჩვენთვის ბევრი რამე შექმნა
სულიერი მამა მოგვივლინა მისი სახით
ჩვენ ვერ ვძღებით უფალს რაღა ექნა?!

***

როცა უკვე გამუდმებით ფიქრს დაიწყებ
გაარკვიო თუ რა არის სიყვარული
მაშინ ალბათ სულ ყველაფერს დაივიწყებ
და შეგიპყრობს უეცარი სინანული.
გაანათებს სიბნელეში ერთადერთი
ახლოს როცა ჩვენ ვიგრძენით ერთმანეთი
გაურკვეველს გარკვეული არ ეტყობა
მაგრამ ალბათ მალე უკვე დაეტყობა.
სიბნელეში განათებას როცა ელი
ანთებული სწორედ მაშინ ჩაგიქრება
სწორედ მაშინ სიყვარულიც გაგიქრება
განათებას სიბნელეში ნუღა ელი.
სიბნელეში რა გამოვა მთვარე
განათდება ალბათ არე-მარე
მაგ სინთეზზე აღარ არის ლაპარაკი
რაც გეგონა ის უკვე აღარ არის.

## „მედეა კოლხს“

ღამისთევას ვაპირებ და ამაღამ ქარია,
რაღაც სულის ძახილის მოსვენებას არ მაძლევს
ნუ თუ ჩემი სურვილი ამ ფიქრებმა არია?
სული თრთის და ამაღამ მთვარეს ვუდებ სანაძლევს.
გაჩერება არ მინდა, ვიცი სადღაც მომკლავენ
გაფრენილი ყვავილის სუნი მეცნო შორიდან
ტირიფების ტოტები გამალებით ტოკავენ
და აპრილის სურნელი შეუმჩნევლად მოვიდა.
თანაც ვიცი დღეიდან ფერს შეიცვლის ბუნება
მოუხმობენ ერთმანეთს გაზაფხულის კვირტები
ოცდასამი წლის მერე ეს დღე ისევ ბრუნდება
ამდენი დრო გავიდა როცა დაუკვირდები.
ამოვიგლეჯ გულიდან უნამუსო ნამუსებს
და დავიწყებ დახატვას ქალაქელი მანდილის
მე იმ ქალის მოტრფე  ვარ, რძე რომ ძუძუს აუვსებს
და დავამხობ ამ ჟინსაც უკანასკნელ წადილის.
გავიქროლებ ახლოდან და გულს შორით მოგიტან
თან მოგიკრეფ ზეციდან უკანასკნელ ყვავილებს
მე ბიჭი ვარ შენს მიმართ პოეზიის ტრფობიდან
მხოლოდ შენთვის ვეცდები რომ არ გამიხანგრძლივდეს.
ღამისთევას ვაპირებ და ამინდში ქარიან
დღიურიდან ნელ-ნელა სტრიქონები მეხევა
მივდიოდით ქუჩაში იმ ღამეში მთვარიან
და ჩრდილები: „მე“ და „შენ“ ჩუმად შემოეხვევა...

## „თამარ ბეჭუაშვილს“

არა რა ხდება მითხარი სად ხარ
იცი ფიქრებმა დაიწყეს ბოდვა
მითხარი, რომ შენ გიყვარვარ, აქ ხარ
სადღა მიდიან სიზმრები, მოვალ
და თუნდაც მერე
ან თუნდაც ახლა
ლექსები ვწერე
დავიწყე დაღლა
შენთან მოდიან აზრები წამით
ვერ გაგაკვირვებ ვიცი მე ამით
მაგრამ ცხოვრება რა არის ღამით
თუ არ დაღალე სხეული რამით
აი, ამაზე დავწერე სიტყვა
აი თუ როგორ ფიქრობს ეს კაცი
მინდა ის არ ვთქვა რაც უკვე ითქვა
და ვიოცნებებ მით უფრო აწი
მიყვარხარ იცი, სრულიად ცხადად
შენზე სურვილით დავღალე სული
რადგან გაქციე ქალღმერთის ხატად
რადგან სიცოცხლე მაქვს ჯერ უსრული
მინდა მოვიდე უფრო მიდიხარ
შენსკენ მოდიან ლტოლვები ღვარად
რაც მე მშორდები უფრო მინდიხარ
ოცნებად რჩები მგონია მარად
არა და არა, არადა მარად
ცოცხალი ვიყავ მაქციე მკვდარად
უმანკოება იხმარე ფარად
უბიწო გრძნობა ჩააგდე არად
გეპატიება, ქალად ხარ ქალი
ჩემმა სიცოცხლემ შენსკენ იარა
ხვალ კი იქნება ისევე ქარი

და გაღრმავდება მწვავე იარა
მე სიყვარული დავწერე ლექსად
და შენ თუ გინდა რომ მითხრა რამე
ნუ იტყვი გრძნობა ვიპოვე ვერსად
და აი ისიც, ნანატრი ღამე
აი მთვარემაც დაიწყო ფიცი
შივსო წმინდა სურვილით თასი
შენ არა, მარგამ მე უკვე ვიცი
რა არის გრძნობა და მისი ფასი
ახლა შენ გისმენს ჩემი თვალები
წამით შეწყვიტავს ტკივილი თოვას
მე ერთხელ კიდევ შემოგევლები
მერე წავალ და არასდროს მოვალ
ჩემი გულისთქმა ველარ გაიგე
მე მეგობრობა მინდოდა შენთან
შენ შენი მახე თვითონ დაიგე
ახლა თუ წახვალ ნუ მოხვალ ჩემთან
მტკივა უშენოდ ყოველი წუთი
მე დავიღალე ამდენი კმარა
არ მძინებია მე წამიც ხუთი
მე უშენობა არ მინდა, არა
გესმის გუგუნი?! გულის თუ გესმის
ხედავ მკვეთრია ზოგჯერ ფერები
ჩემი გრძნობები სიყვარულს გესვრის
და დაჩოქილი მოგეფერები
მიყვარხარ ისევ, მკვდარი ვარ თითქმის
მე დამიძახეს, ადამიანო
ეს ჩემი გრძნობა სიტყვად არ ითქმის
და მერე თუნდაც გადამიარო...

## „ღ ა მ ე“

ახლა ღამე ვარსკვლავები მისმენენ
მთვარეს ჩემი აღარ უნდა გაიგოს
როგორც წესი ღამე ყველა ისვენებს
ენერგია  ჩემი ღამემ წაიღოს
ერთხელაც რომ აღარ მქონდა ხალისი
მივადექი ვაზის ნაშრომ-ნაწვალებს
დარდი არის თვითონ მტერი თავისი
ყველაფერზე ერთად ფიქრი მაწამებს
ჩემი თავი მომეჩვენა ძლიერი
თითქოს ღამემ ყველა დარდი გააქრო
სიყვარულის სანთელი მაქვს ხნიერი
სიძულვილმა ერთხელაც ვერ ჩააქრო
ნეტა ყველას იმდენივე შეეძლოს
როგორც ღამეს, სანამ გათენდებოდეს
ვისაც უნდა დღის სიცოცხლე შეერგოს
მე კი მხოლოდ, ღამე მათენდებოდეს
მთვარის მოტრფიალე ვარ და ვარსკვლავების ქარი
ცხოვრებაო ჩემო ნეტავ, რატომ აღარ იცვლები
ჩემს გულისთვის თავს მოიკლავს ერთადერთი ქალი
მე კი ფიქრად ჩამწყდარი ღამე გარდავიცვლები.

***

რატომ ნეტა, რისთვის დავიარები
ნეტა რატომ მოვევლინე სამყაროს
გულზე მძიმედ მეფინება დიდი ნაიარევი
ვის არგია ჩემს სიყვარულს სიძულვილით გამყაროს
ნეტა შენთვის უკანასკნელს მეკოცნა
მუდამ დავრჩ შნზედ შენატრებული
ყოველ ღამე ნეტა შენთვის მელოცა
ვაი იმას არ ყოფილა, ჯერაც შეყვარებული
რომ მოვკვდები მერე ბევრი მინატრებს
შენც იქნები ამ მნატვრელთა რიგებში
ჩემი კუბოს თავსახურს კი ვინ ათრევს
აკი ვთქვი, რომ შენც იქნები რიგებში
ვინც ჩემს მიმართ სიყვარული დამალეს
ინანებენ რატომ მოხდა ასეო
შენ კი ჩუმად ჩამოსძახებ სამარეს
„ჩემსა მიმართ სიყვარულით სავსეო“.

## „მაგრამ რაღაც უეჭველად ვიცი''

იცი მინდა შენთან ყოფნა, მაგრამ არა რატომ,
იცი შენზე შეყვარებულს ძილს არა მგვრის ღამე
იცი რაც მაქვს, სიყვარული, მივაღწიე მარტომ
ისიც იცი რომ ყოველდღე, იქნებ მითხრა რამე
ვიცი ერთი, მხოლოდ ერთი, რომ მიყვარხარ ძლიერს
ვიცი შენთვის არ ვარსებობ, ტყუილად თუ მართლა
ვიცი ის რომ შენს ფიქრებში დამამსგავსე ხნიერს
ისიც ვიცი, რომ ნულიდან მე დავიწყე ათვლა
არ იცი? რომ შენს გულისთვის ჭირს დავუწყებ ჭამას
არ იცი თუ როგორ მინდა დღეს ჩვენ ერთად ვიყოთ
იცი? არა ახლა ჩემთან აზრი არ აქვს კამათს
არც ის იცი რომ ეს ჭირი ნაწილებად გავიყოთ
არ ვიცი მე, შენთან ახლოს რაღაც ჩიტად მაქცევს
არ ვიცი თუ შენთან დღესაც არ მჭირდება ფიცი
არ ვიცი რომ შენ ჩემს გრძნობას ყურადღებას აქცევ
არც ის ვიცი, მაგარმ რაღაც უეჭველად ვიცი.

***

მე დედამიწა, უკან მხოლოს მისთვის დავძარი
არ მდომებია მე უიმისოდ ჩამქრალი ზეცა
ჩემი სხეული აღარ იქნება მისი ტაძარი
ეს სიყვარული სიძულვილად თუ გადამექცა
მე არც სიცოცხლეს და არც სიკვდილს არ ვემუქრები
შესამოსელად მე ფარისეველ არა მქონია
სანთელი კი ხარ, მე არ ვსუნთქავ, შენ კი ნუ ქრები
ჩემს ამოსუნთქვას შენ ჩარექრე არამგონია
მე უბადრუკი სიცოცხლეშივე სიძულვილს ვებრძვი
რომ მე შენს გულში არ ჩამექრო დიდი ხანძარი
დაუსაბამო ჩემს სიყვარულს, შენ ვერ შეებრძვი
ჩემი სხეული აღარ იქნება შენი ტაძარი
როცა სხვას კოცნი, მე კი შური შენგან მიმათრევს
სწორედ შორიდან, თუ გიშველის მინდა დაგლოცო
შენ შეიძლება, მაგრამ დღეს მე, აღარ მიმართლებს
თავს მე ძილს მივცემ, იქნებ სიზმრად, მაინც გაკოცო.

***

უშენოდ ყოფნას სიკვდილს ვარჩევდი
გული არ ფეთქავს როცა ვერ გხედავ
ჩემს არსებობას ვერც კი ამჩნევდი
ჩემთვის ძნელია როცა ვერ მხედავ
ზარის გუგუნის სითბო მღელვარებს
დუმილს გირღვევენ წმინდა თვალები
თითქოს რომ მხოლოდ ჩემთვის ელვარებ
თითქოს რომ მხოლოდ ჩვენ ვართ მთვრალები
მეწვის გული და დნება ნაღველი
მე შენით თრობა არ მიწადია
და შებრალებას შენგან არ ველი
ძლიერ მიყვარხარ წელიწადია
უბრალოდ მინდა გრძნობამ გამიძლოს
მეც  შევეცდები გაძლებას მისას
როცა მიხვდები როგორ მიყვარხარ
მიმაბარებენ მე უკვე მიწას.

**07.11.2010**

***

რა მოვუხერხო გულის ტკივილებს
სიყვარულია სენი ნამდვილი
სად დაგიკრიფავ მე შენ გვირილებს
აღარ იქნება ჩემთვის ადვილი
ზღვაში გემია, დიდი, ტიალი...
შენ ამ გემბანზე ამაყად დგახარ
მე გამოვდივარ სავსე ფიალით
შენ გაგიმარჯოს, არავის გავხარ
მე გიდღეგრძელებ შენ მშობელ დედას
ვინაც გაწია ამხელა ღვაწლი
ღმერთმა გიცოცხლოს მფარველის კალთა
და დიდი გრძნობით ფიალას დავცლი
შეივსო ყანწი, მოვითხოვ სიტყვას
შეაფასებენ რაც ქვია ამას
მე რაც გულში მაქვს ის უნდა ითქვას
რომ დაგილოცავ შენ მშრომელ მამას
ორ ჭიქას ვითხოვ ერთი ფიალით
რომ გამოვხატო გრძნობის ვაება
ცრემლებს დავლოცავ შენზე ტრფიალით
ძლიერ მიყვარხარ ჩემო ღვთაება.

**03.11.2010**

***

იცი მწვანე რატომ არის ბალახი?
ბუნებაა ნაბოძები ჩვენთვის
მე ღმერთი მწამს, ზოგიერთს კი ალაჰი
მაგრამ ზოგჯერ გული გულს არ ერთვის
იცი რატომ გალუჯდება ზეცა?
არც მე ვიცი, პასუხს დღესაც ვეძებ
სიძულვილი სიყვარულად მექცა
და ამიტომ  მე უშენოდ ვე ვძლებ
იცი რაღაც გული მტკივა წამით
შენ ხარ თოვლით შეკერილი გუნდა
ტკივილს ახლა, ვერ ვიყუჩებ წამლით
მხოლოდ შენი მოფერება უნდა
იცი მალე ზამთარია, მოთოვს
შენი გული ჩემსას მინდა ენდოს
სავსე გრძნობა უშენობით ლოთობს
და არ მინდა სადმე გარეთ ეგდოს
იცი მალე მეც მოვკვდები ღამით
ვერ გავიგე წვიმა რატომ მოდის
და თუ რამე გაირკვევა ამით
შენს ფიქრებში მევე დავღლი ლოდინს
მაგრამ იცი, რა დზნელია როცა,
გაღვიძებას დააპირებს ძილი
შენი გრძნბის ნახევარი მომცა
მეტკიება გული გატეხილი
იცი გრანელს რა უყვარდა მალვით
მეც მასავით დამალული ბაგე
მინდა ვიყო ნაპერწკალი გავლით
მხოლოდ ჩემი მეზღვაურის ბადე.

**13.11.2010**

***

მითხარი რომ შენთვის არაფერი ვარ
არ მითხრა რომ არ ვარ შენი ღირსი
მე კი გეტყვი მხოლოდ შენთვის ვმღერივარ
რომ მოვარტყა კიდევ ბევრჯერ ვისვრი
ასე გრძნობით მე არასდროს მიწერია
ასე ნაზი მე არასდროს მინახავს
ჩემი გრძნობა შენდამი რომ ძლიაერია
ასეთს ვიცი ბევრი ქალი ვერ ნახავს
აღარ ვიცი რომელ მხარეს მივაწყდე
არც ის ვიცი ცხოვრებაში რა მელის
ნახევარი, გრძნობის გვერდზე მივაწყვე
რასაც გავცემ იმდენს აქეთ მოველი
მეშინია ამ უაზრო ფიქრებმა არ დამღალოს
მეშინია ერთადერთი, სიყვარულის დაკარგვის
სიცოცხლეში, ცხოვრებამ რომ ცხოვრებაში დამმალოს
ეს სიტყვები შენდამი ხომ, აღარაფრად აღარ ღირს
რასაც ვიგძნობ შენს მიმართ უსიტყვოდაც გადმოგცემ
ყველაფერს კი აქეთ-იქით მოვრგავდი და მივრგავდი
მერე თუნდაც მოვმკვდარიყავ კიდევ ერთს გაკოცებ
შენ კი გეცოდინებოდა როგორ ძლიერ მიყვარდი.

**15.03.2010**

***

ერთი კვირა, დილა იყო ღრუბელში
ახლაც ვნატრობ ის დღე ისევ დაგვიდგეს
სიყვარულის გაბმული ვარ  უღელში
დადგა დრო, რომ ერთმანეთი დაგვჭირდეს.
ერთი კვირა ისევ იმ დღეს ვიხსენებ
საკათედრო ტაძრის მადლით აღვსილნი
დასვენების დროა, ველარ ვისვენებ
ყველაფერი არის აღვირახსნილი.
ის დღე იყო, შენ მე გული მაჩუქე
ჩავუყევით სანაპიროს, მდინარეს
შენი დარდი, ჩემს გულში ჩავაჩუმე
ისევ ვნატრობ, გნახო ერთხელ მძინარე
ვიღლებოდით, მივდიოდით სრულებით
დაღლა ახლა, არცერთს აღარ შეგვეტყო
ისევ კვირა, ისევ ის დღე სრულებით
შენი გულის ფიქრი, რომ ვერ შემეტყო.

***

შენს გარყვნილებას არ აქვს საზღვარი
შენი ფიქრები სიკვდილის ფერია
შენი გრძნობები ისევევ ჩამკვდარი
ჩემი გრძნობების ბოროტი მტერია.
შენია ნება და ჩემია სურვილი
მე რომ მიყვარხარ, ეგ შენი ბრალია
მაგრამ რას ნიშნავს ეგ შენი დუმილი?
შენი გრძნობები, ჩემდამი მკვდარია
მე შენ გაღმერთებ, ეს ჩემი ვალია
შენმა სიტყვებმა გრძნობები არია
და შენ თუ ფიქრობ ამაზე,  შარია
ეს უკვე მოკვდავი ქალღმერთის ქარია.

***

მივყვები ცხოვრებას სადღაც შორეულს
ღელავენ გრძნობები, უშენოდ ძნელია
ჩემი გული კი ეძებს ორეულს
ნათელი ცხოვრება, ჩემი ბნელია
ვფიქრობ მისვლას და, იქ აღარ მელიან
მიყვარს ვიღაც და არ მაქვს ხალისი
აქ სიყვარული, ათასი ფერია
თვით სიყვარული, მტერია თავისი
მე ვიცი ფიქრობ ეს წამიერია
მაგრამ იცოდე, არ დავიღლები
იმ ქვეყნიური ამიერია
და არასოდეს არ გავირყვნები.

***

მონატრება ყოველ წამს, მე შენსკენ რომ მითითებს
და ამ მონატრებისთვის შენს თავს რომ დაიფიცებს
სიყვარულით რომ მოვა, დაგიკოცნის იმ თითებს
იმ ბიჭის ვარ სიტყვები, წერას რომ დამიპირებს.
როცა წავა ის ქალი, ბიჭის გული იტირებს
გატარებულ ამ წუთებს გრძნობა ვერ დაივიწყებს
შენს სახელზე ლოცულობს, მერე რომ დაიძინებს
იმ ბიჭის ვარ სიტყვები, წერას რომ დამიპირებს.
შენს გულისთვის ის ბიჭი, ზღაპარს გაანამდვილებს
შენი სიყვარულისთვის ყველა გადაიკიდებს
ერთი ქალის გულისთვის სხვას ყველას დაიკიდებს
იმ ბიჭის ვარ სიტყვები, წერას რომ დამიპირებს.

## „წაღმა წაიკითხე, შემდეგ უკუღმა“

სიმწრის ტალკვესში კრთება ბგერები
სიცოცხლეს შთანთქავს შავ-ბნელი მიწა
იწვის სულ მუდამ მუქი ფერები
იცოცხლებს გრძნობა, ძვირფასო მიცან.
შენში იფეთქებს ქალღმერთის ვნება
ჩემია ტანჯვად ქცეული გრძნობა
გენში და, თითქოს რაღაცა დნება,
გემია, მასზე მინდოდა თრობა.
ზამთარი წაშლილი, მოვარდა იერით
მეძებენ დაკარგულს, გითხრა მოვედი
აფთარი ცივი, მზერით ცბიერი
გეძებენ შენაც, მე რომ მოველი.
სავსე ცხოვრება დაე კიოდეს
ალალს მხედავს და გამხდარა ქალი
ასე გრძნობები მინდა მტკიოდეს.
დალალს აწეწავს უთუოდ ქარი
მოგეხსენება მიყვარხარ, იცი
ავაწყვე წმინდა სურვილით ლოცვაც
მოესვენება მტკვარიც და ფიცი
დავიწყე, ახლა ტუჩებზე კოცნაც...

***

თუ შენგან დაუფარავად
ამ გრძნობას ფარდა ავხადე
ეს გრძნობა შენი გულისთვის
გულის სიღრმეში დავხატე.
მონატრებისთვის გამკიცხავ?
მიუხედავად არ გინდა
ამ გრძნობას როგორ განკიცხავ
თუ სიყვარულად არ ღირდა
ჩემი გრძნობები ფიქრებში
უმანკო ტრფობად მღელვარებს
შორით ღრუბლიან სიღრმეში
ათიათასად ელვარებს
გაბრაზებული მამწარებ
გაუბრაზებლად დამინდობ
ხელშეუხებლად მაწამებ
და საიდუმლოს გამინდობ?
მიუწვდომელი არა ხარ
შენამდე მოსვლას ვნატრობდი
შენ აკგრძალული ხილი ხარ
მოწყვეტას რატომ ვლამობდი
შენი ყოველი ღიმილი
ჩემს გრძნობებს ისე აკვნესებ
მომდომებია ტირილი
ცრემლი რომ თვალებს ასველებს.

***

მიკვირს რაღაც, რაც მე აღარ მიკვირს
შხაპუნებსო, ცრემლნარევად წვიმდა
რაღაც ახლა თავგანწირულ კივილს
ადუმებდა ეს ამბორი წმინდა
შეუხებლად გეფერები, გკოცნი
შენს სარკმელთან სანთელივით ვდნები
შენთან ყოფნას რომც ნატრობდნენ ოცნი
ეს არ ნისნავს, რომ არიან მტრები
შენთან ერთად სიყვარულის ზოლზე
უამრავი ლექსის არსი ვწერე
თუ გათხოვდი მამაშენის ტოლზე
მეშინია არ ინანო მერე
ახლა კი ვწერ ამ უაზრო „პასტით“
აღარ ვიცი სიყვარულის ახსნაც
მიმკითხავეს მერე კარტის დასტით
იმის მერე, ველი ბედის გახსნას.

***

როცა ვცდილობ ლექსის წერას
ვერ ვწერ ვერცერთს სტრიქონს
მე რა ვუთხრა ბედისწერას
როცა თავად მიხმობს.
შებ ხარ ჩემი მუზა
მე ვარ შენი პოეტი
და როცა აიტუზა
შენ ჩემთან კი მოხვედი
ვინ რა იცის კარტი
ვისთვის როგორ ჩავაწყვე
ეს არ არის ნარდი

დუშაშით რომ გადაწვდე
გაგაბრაზე ამ წუთას
ლაპარაკიც არ გინდა
ჩემი კითხვა სრულიად
გაბრაზებად არ ღირდა
ხვალ კი კარგი ამინდი
მე როგორც ვთქვი ისევ
უზომოდაც მიყვარხარ
და ხვალაც მომისმენ.

***

ახლა საერთოდ არ მტკივა ძვლები
ხორცმა იტვირთა თოვლი ტკივილის
ვხედავ სხეულს, რომ ათრევენ მგლები
და მეშინია სულის კივილის
ზნედაცემულ და შიშველ ხალხს ვხედავ
გაურკვევლობას მოუცავს ღამე
და მოკგრძალებით შეკითხვას ვბედავ
არ გტკივათ ხალხნო? მითხარით რამე
მე მხოლოდ მონა, სოცოცხლე დამღლის
ჩემი აზრები, ჩემთან ვერ აღწევს
სარკეში ვხედავ ჩემს თვალებს დახრილს
და სარკის გარდა, მას ვერვინ აღწერს
ეს ცხოვრება კი არ არის განა
ზიგ-ზაგი გზაა, უნდა ასწორო
ბევრი ფული აქვს, ის მაღლა დგანა
აი ეს არის უთანასწორო
ვაი წარსულო, მომავლისა, ფიქრად ქცეულო
როგორ გამყარა ამ ცხოვრებამ, დაყრდნობილ ბედზე
ვაი სიკვდილ, ოჰ მართლაც ვაი, ფიქრო წყეულო

მინდა უმეტეს  ვუყო თუნდაც გაფრენილ გედზე
მაგრამ რა ვუყო ამ მოზღვავებულ ვნებათა ღელვას
რა უდარდელად, მთვარის მიღმა ღრუბლის ალები
ვის არ აშინებს, ცივ ღამეში ცივად რომ ელავს
ეგ შემოდგომის, თან თაფლისფერი შენი თვალები
ბევრი ვერ იგებს თუ რას ამბობს ეს ჩემი გული
მოდი პირდაპირ მიგითითებ, რაც მტკივა ლექსად
ყველა ვთამაშობთ, მაგრამ უკეთ ვით შენიღბული
შენც გქონდა როლი, და სიცოცხლე, აქციე კვნესად
არა, ამჯერად შენ ვერ დაგთმობს ჩემი გონება
ჩემში სიცრუის ყვავილობაც გავინადგურე
დღეს სიყვარული და შენა ხარ, ჩემი ქონება
რომლის გულშიაც მე ჯერ ვერა დავისადგურე
აწი მე წავალ, უკან  მხოლოდ, მხოლოდ მტვერია
და შენი მზერა, და შენი მზერა, მტვერშიაც მალვით
გამჭოლავს ისევ, შემიპყრობს ისევ, თან მომერია
თან მიმაქროლებს ისევ თითქოს ამ გრძნობის გავლით
მოდი შენს გულში ამ სიყვარულს სახლი ვუშენოდ
რადგან მიყვარხარ, სული მიმდის ჩემო ხატება
მაგრამ ყველაფერს რა აზრი აქვს, თუნდაც უშენოდ
თუ სიზმრად მაინც, არა შენი გამოცხადება.

***

მე რა აზრი მაქვს ამ სამყაროში
ამისთვის ფიქრიც ვერ ვაიმედე
ღრუბლად ვიქეცი დღეთა ქაოსში
და შენთვის წვიმა ვერ გავიმეტე
გავხდი მზიანი ამინდის კონა
ვერ დავაბერე ცრუთა წადილი
მინდა რომ ვიყო მე შენი მონა
და თუნდაც მხოლოდ შენი მანდილი

მერგოს საზღაურ არ მინდა მეტი
მე შენს გარშემო სული დავტოვე
რომ შემომხედავ ვით მონომენტი
დავრჩებით, შენ და ისევ მარტო მე
მთვარის საღამოს ნათელი ჩრდილი
მაოცებს სხივთა კრთომა ნათელი
აი ისევ მე მომაქვს სინათლე
შენთვის ავაწყობ სიცოცხლის ღელვას
შენს სურნელებას ისევ ვინატრებ
და შევადარებ ზღვას ცისარტყელას
ტალღებში ბოლოს მე ვარ დაღლილი
ზამთრის სუსხიან გრძნობის სიყვითლეს
ვათრევ და თითქოს სავსე მარხილი
დაცლილ ვნებათა ჭამას ვიფიქრებ
თუ ტკივილამდე შემცივდა მაშინ
ვერ გთხოვე, სითბო მინდოდა შენგან
გაყინულ თითებს ვითბობდი თმაში
და ის თმაც აგერ, გამშორდი წელან
ისევ მარტო ვარ ძალმორეული
მისადგომებთან მე შენი სახლის
და თითქოს, ძალა გამოლეული
ვცდილობ გაგებას რაღაცა ახლის
და მე თუ ბრალი მიმიძღვნის შენთან
მაგრამ ეს გრძნობა ვერ შეგიბრალებს
შენ ერთადერთი ის გეთქმის ჩემთან
რომ ჩემზე მეტად ვერ შეგიყვარეს
ოჰ, რა მწარეა ეს სიყვარული
სიტკბო ჯერ ამას არ დატყობია
ოდესღაც ის დრო და სიხარული
ამჯერად უკვე ავადმყოფია
მაგრამ მე მაინც სიცოცხლე მავსებს
გახსოვს ჩამუხლულს რომ მიყურებდი
როცა გიკრავდი ფეხსაცმლის თასმებს

როცა მიშლიდი რომ გიყურებდი
როცა სიყვარულს ლექსად ვამბობდი
კვალდაკვალ შენსკენ ჩემო სოცოცხლე
შენთან ალერს და სითბოს ვლამობდი
გახსოვს რად  ღირდა ჩემი სოცოცხლე
ახლა რაღა მაქვს, ყოფნა უშენოდ
ღამის წყვდიადში დავითვლი ცრემლებს
და ვიცი კარგო თურმე უშენოდ
ეს დაღალული გულიც რომ ვერ ძლებს.

***

არ არსებობდა თურმე სიცრუეც
როცა ვიწყებდი წერას
და მე გულგრილი არასოდეს
არ მოუკლივარ წყენას.
მტკიოდა ერთხელ მკერდის არეში
ისევ სიმართლე ვნახე
არ მდომებია ოდეს თარეში
როცა დამიგეს მახე
როცა სიცოცხლე შემიხანმოკლეს
მაშინ ვითვლიდი წუთებს
და სიყვარულიც ჩემი თან მოკლეს
ჭამა დავუწყე ნუნებს
ახლა მეფენი იწყებენ მეფობას
დრონი წავიდნენ, მძიმეს
არ მოვეშვები, მინდა დათრობას
თან გვერდში ვახლდე ვინმეს
ახლა არ ძალმიძს მარტო დარჩენა
გასაჭირის ჟამს, თავიც
სხვამ რომ შემიძლოს მე გადარჩენა
თქვენ მირჩევნიხართ მაინც

და თუ მოვკვდები აზრის გარეშე
აზრი ყველაფერს ადევს
მოფერება კი თქვენი ჩემდამი
ჩემში სიცოცხლეს ბადებს
მე შემართება უსიყვარულოდ
არ მიძებნია მაღლა
და მხოლოდ ერთი, უსიყვარულოდ
აგერ შემეტყო დაღლა
სიდამპლით სავსე თვალებს
გინდა ვუყურო? არა
თუ, დავემონო ქალებს
არა, არ მინდა, კმარა
მე ზღვად ვიქეცი ფიქრის
დარდმა დამღალა, მტკივა
ეს დრო უჩემოდ მიქრის
და უჩემოდაც მივა
ფოთოლს გავატან წყენას
ხიდან დავარდნილ ფოთოლს
როდის ვეწიო რწმენას
მალე დროა და მოთოვს
თითქოს ვიღაცამ ამხადა ჭერი
და რახანია მაწვიმს
ვერ ვიტყვი ახლა ვისზეა ჯერი
სიმწრის წვეთები მაწვიმს
სულ გათელილმა დავკარგე
აზრი სიცრუის ხანში
მე რომ დაცემა მინდოდეს
ფიქრად არ მომდის თავში
ახალ სიყვარულს ვებრძვი
არ შემეკითხოთ რატომ
სიყვარული ვარ ძველი
არ მინდა დავრჩე მარტო.

## (მაია ზარანდიას)

შენ რომ გტკივა მაშინ მეც მეტკინება
შენ რომ ტირი, მაშინ მეც მეტირება
მე რომ შენთვის სიყვარული გავიღო
შენ იმაზეც იფიქრე რომ გამიგო
მე რომ ვიბრძვი შენ ნუ დაყრი ფარხმალს
მე ხომ ჩემი გულის კარი გაგიღე
შენ არაფრით არ გამსგავსებ ამ ხალხს
მე შენს გულის ტკივილს, კარგად გავუგე
მინდა ის რაც დღეს იყავი არ იყო
მინდა ისევ მოგენიჭოს ხალისი
ამას გეტყვი როგორც ჩემი დაიკო
ამის თქმასაც მე ვაპირებ ხვალისთვის
რატქმაუნდა დრო თავისას იზამს
აღარც იმას არ ჭირდება თქმა
რომ ბევრ რამეს შენი გული იტანს
გულის ნაცვლად ვიცი არ გაქვს ქვა.

## „ღრუბლიანი ღამე“

ღრუბლიან ღამეში წვიმის წვეთები
ჩამესმის როგორც გოდება შენი
მე გული მტკივა მაგრამ ვერ ვხვდები
ეს წვიმაა თუ ცრემლები შენი
ხმაური, ნათება ამ ბნელ ღრუბლებში
გონებას ძაბავს რაღაც წუთებში
მიხვდები ებმევი ცხოვრების უღელში
ეშვები უფსკრულშისადღაც ულევში
სინათლე ბნელდება შენსავე თვალებში
ეშვები, ფიქრობ ამ არე-მარეში
არავინ გეტყვის უცხო მხარეში

მიყვარხარ, მაკლიხარ, ძლიერ მჭირდები
აქ კი მე გეტყვი როგორ მჭირდები
უფსკრულს გაშორებ ამას გპირდები
ჯიუტად მოგთხოვ და გავგიჯდები
გასაქანს არ მოგცემ, შენთან ვიქნები.

## „აღდგომას''

მძიმე არის ჯვარი თითოეულის
გვიჭირს თითქოს ამა ტვირთის ტარება
ჩვენ არ ვიცით გემო გოლგოთეულის
ცოდვის სისხლით ღვთის გმობაში გარევა
რისთვის ეცვა მაცხოვარი განა ჯვარს?
რატომ დათმო ღმერთმა შვილი თავისი?
რისთვის ტანჯავს ეს ცოდვები განა ხალხს?
იმითვის რომ მიხვდეს ერი თავისი
ამ ტკივილებს ცოდვა ტანჯვად მიესო
დღეს ჯვარს აცვეს მაცხოვარი იესო
ტკივილს იტანს რომ ყოველი გადარჩეს
და ამ ქვეყნად ბოროტება არ დარჩეს
ამ ყველაფრის ჩვენ შემყურე მივილტვით
ჭეშმარიტი ცნების მიმართ- პირიქით
ხვალ რომ დილით მზე ღრუბლებში ამოვა
მოგვიწოდებს რომ ხვალ არის აღდგომა
ქრისტე აღდგა როგორც დავად მოგვითხრობს
თავს დავახწევთ ცოდვისგან და ეშმაკისგან
ერთმანეთი გიყვარდეთო მაითხოვს
ქრისტე აღდგა! ქრისტე აღდგა , ჭეშმარიტად!

***

ალბათ ღირდა, მხოლოდ ერთხელ ღირდა
სიტყვების თქმა და გრძნობების გამხელა
არ ვიცოდი ცხოვრებაში რად მიღირდა
მე შენს მიმართ სიყვარული ამხელა
მე მას ვეტრფი ვინც სიყვარულს არ ითხოვს
მასთან მინდა ვისაც მე არ ვუნდივარ
მერე გრძნობა სიყვარულს რომ დაითხოვს
გეგონება სიყვარულის ქურდი ვარ
მენატრები ჩემო კარგო მენატრები
შენთან მინდა ყოველი დღე თენდებოდეს
მე შორიდან ნელა-ნელა გეპარები
შენ არ მინდა სიყვარული გბეზრდებოდეს
მენატრება ცელქობები წარსულიდან
ადრეული ასაკიდან რომ მახსენებს
მე კი ლექსის წერაში ვარ გართული და
მე შენს მიმართ  სიყვარული მამღერებს
შენ რომ იყო ბედნიერი ამისთვის
მე ყველაფერს გავაკეთებ გპირდები
სხვას შეიძლებ უნდიხარ მხოლოდ ერთი ღამისთვის
მე კი მთელი ცხოვრება მხოლოდ შენთვის ვგიჟდები
მენატრება შენი უცხო სურნელი
შენი ნაზი მაგ თითების დაკოცნა
შენ შეიძლებ მოგეჩვენო სულელი
ამ სულელსაც შენ უყვარხარ საოცრად.

## „ამპარტავნება“

ჩემი ცხოვრება არც თუ ისე ბევრად რთულია
თვითონ ვართულებ თუ კი რამე გამრთულებია
მაგრამ ვერ ვიტყვი რომ ცხოვრება ჩემი სრულია
ვერც იმას ვიტყვი რომ ბევრი რამე ამსრულებია
ამპარტავნებას მე ჩემს მეში ველარ ვერევი
მე ჩემი თავი ისე მიყვარს გადამერია
და ამ ყველაფერს, ალბათ მართლა ველარ ველევი
თუ შენი გიყვარს სხვა სიყვაული არაფერია
მე ალბათ ცოტა, კარგი თვისებაც გამომრევია
რა ღირს ეს კარგი? -უკაცრავად, გამომლევია
მე დამნაშავედ ჩემს თავს მხოლოდ ერთ რამეში ვთვლი
მადლის ტოტი მაქვს და ყოველ დილით ნელ-ნელა რომ ვთლი
ისევ ამდენს ვწერ ჩემს თავზე ხედავთ?
რომ არ მიყვარდეს ხომ არ დავწერდი
ამპარტავნებას აშკარად ვბედავ
თავმდაბლობას  კი მე ხომ არ ვწერდი
სწორედ ამიტომ ჩემი ცხოვრება
რთულდება როგორც სულის ცხონება
თავმდაბლობა კი ვიპოვნე მაშინ
რომ დავიკარგე ამ ქვეყანაში.

***

ასე მგონია უჩემოდ მთვარე სიცივეს დაკარგავს
ასე მეგონა ერთხელ რომ ეს ყველაფერი რთულია
ის სიყვარული რომელიც იმ ერთ გოგონას აღარ გავს
ღვინით დავთვერი უზომოდ და კიდევ უფრო მწყურია
მისკენ სავალი ბილიკი ვარდივით დაეკლილია
მე ამ ბილიკზე სიყვარულს მოვუხმობ რათა დამიცვას
იქ ერთი კარი იღება, მივედი დაკეტილია
ვიხეტიალე იმდენი მთვარე კიდია ღამის ცას
მიყვარს ივლისის ვარდები, შენი სურნელით სავსეა
ამავე თვეში მთვარეც კი ტავხედი მზერით გამჭოლავს
შენთვის ყველაფერს მოვირგებ თუ სიყვარული ასეა
შორით ღრუბლიან სივრცეში ღამის ნიავი გამჭორავს
მომენატრები ვიცი და ამ თავხედ მთვარეს ავხედავ
აფეთქებული კოკრები შენი სურნელით აივსო
ჩემი გრძნობების თანახმად ამ მთვარეს ისე გავხედნავ
თავხედი მთვარე მომიგებს, ის შენი ღირსი არისო.

***

მე არ ვწერ ნოველას ცარიელ ფურცელზე
განრისხდა კამარა, გაშავდა ცა-იგი
წუხელ წავიკითხე სარჩევის კუთხეზე
„ზაფხულის ნოველა, შტეფან ცვაიგი“
უღირსად თავი მაშინ ვიგრძენი
როცა ვიკითხე ამის მომგონი
ვიფიქრე ცხოვრება მომელის წინ გრძელი
სიცოცხლის ტრფიალით „ჯეკი ლონდონი“
გაჭირვებაში კაცი რომ დაგტოვებს
რომც გაწუხებდეს თუნდაც პროსტატი
ჩემი ფიქრები წუთითაც არ მტოვებს

„ჰარბელტ უელსის, ალმასისი ოსტატი“
მე არ ვარ პოეტი, არ მიცნობს წიგნები
და თუნდაც მოვკვდე, არავინ იტირებს
მე მაინც ცხოვრების მკითხველი ვიქნები
და ბნელი სიკვდილი დანდობას მიპირებს.

## (ნიკოლოზ ლაშხიას, პასუხის პასუხი)

მე თქვენს სხეულში ტერენტი ვნახე
მე გალაქტიონასაც შეგადარეთ
მე რომ მოვისურვო და მერი გავხდე
გალაქტიონივით  თავს ვერ შეგაყვარებთ
იმ ცამეტ ტყვიიდან თორმეტს ნუ დახარჯავ
ერთ დარჩენილ ტყვიას შუბლში ნუ დაიხლი
და იმ ერთ კრიტიკოსს შენ მე ნუ განმსაჯავ
და თავს დამცირებულს ნურასდროს ნუ გაიხდი
და იმ სტრიქონესაც ქარში ნუ ამრავლებ
თითქოს მოწყენილნი შენსკენ ბრუნდებიან
და იმ კრიტიკოსებს მეც ვერ გავამართლებ
შენი შედევრებით ასე რომ ბრუვდებიან
შენ მხოლოდ კოლხეთის მიწა გაბარია
და თითო სტრიქონში ყველაფერს რომ აღწერს
ჯერ შენი ლექსები ყველაზე მთავარია
ის გოგო შენამდე ვერასდროს მოაღწევს.

***

ვხედავ ზღვაზე გვირილებად მოფარფატე თოლიებს
მეჩვენება თეთრი ფრთებით შემოსილი ქარები
შევაგროვებ ნელა-ნელა ერთმანეთის ტოლ ისებს
სანამ ჩემთვის, შენი გულის დაიხურა კარები
ვხედავ ზღვაზე გვირილებად მოფარფატე თოლიებს
შენთან ერთად კრთებიან და შენთან ყოფნის სურვილით
ფიქრად ჩაკეტილები და შორდებიან გალიებს
შენ თითქოს რომ მეუბნები მიყვარხარო დუმილით
განგებამ კი ანალიზად ჩემი სუნთქვა აიღო
დასკვნა იყო, შენ იყავი ჩემი სუნთქვის მიზეზი
არ ვიცოდი შენი გულის, კარი უმალ გაიღო
ხომ იცოდი მე ვიყავი ღია გულის მიზეზი
ხმა ხომ გესმის, ჩემი გრძნობა გამალებით გიყვირს
ისევ ნელა შევაგროვებ ერთმანეთის ტოლ იებს
ეგ ლოყები გრძნობებივიტ, ვარდისფრად რომ გიღვივის
ვხედავ ზღვაზე გვირილებად მოფარფატე თოლიებს.

## „გიგა ჭაავას“

ბევრი იტყვის შენზე მხიარულია
შენს თვალებში მე სხვა რამეს ვკითხულობ
შენში უფრო მეტი სიყვარულიაო
უფრო მეტად სიყვარულზე ფიცულობ
არ გასულა ერთი ღამეც ალბათ
შენს თვალებ რომ აღარ ეგრძნო დაღლა
შენში ვერვინ დაინახა ანცობა
შენში ჭარბობს უმეტესად კაცობა
გარეგნობით არა ითქმის ყოველი
შენში არის სიყვარულის ცხოველი

რაც მართალი ის ყოველთვის ითქვას
შენი გული დაღლას ვეღარ იტანს
ყოველ დღე კი კაცობასაც თესავ
ამოტეხილს ნელა-ნელა ლესავ
შენ გადარებ ხე რომ არის აკაცია
შენი სახით კიდევ ერთი ძმაკაცია.

***

ცივა ისევ ზამთრის ქარმა დაჰბერა
თეთრი თმებით ქალი, შავი ძაძებით
ახალგაზრდა ქალი რამ დააბერა
ქალი ისევ შემოდგომის თვალებით
ვიცი ახლა თქვენ მე მომეფერებით
თავდახრილი თქვენს წინ ცრემლი გამათბობს
მერე ისევ თქვენი ნაზი ბგერებით
იღიღინებთ და უთუოდ გამართობს
თურმე ისევ თქვენ აღმოჩნდით მართალი
მინდა ძველი, ხელზე კოცნით გხვდებოდეთ
მადლის ტოტის ახლა თქვენ გაქვთ ნათალი
მიყვარხარ და ამას თქვენ ვერ ხვდებოდეთ
თუმცა იცით თქვენს გარეშე არა ღირს
სიყვარული უნდა თქვენგან ამ ბატონს
იცით ის რომ შეგადარეთ არავის
და მხოლოდ დღეს დაგიძახებთ ქალბატონს.

***

მინდა რომ ერთხელ  მესროლო ტყვია
რომ შემოგაკვდე სრულიად შემთხვევით
აცნობიერებ რომ შეცდი, გვიან
ქვაზე დაწერილს მხურვალედ მემთხვევი
სიმსვსდეს დაარღვევს ფიქრები ამაო
ტაძარშიც მიგიყვანს შეი შეცდომები
დაშენს ახსარებას მოისმენს მამაო
უკვე დაგვიანდა როცა გენდომები
შენი ცხოვრებაა შეშლილი მანერებით
მარტო დაჩენილი სიკვდილის რომ ინატრებ
შენ დაშენი სული ერთმანეთს დაერევით
ისევ შეეცდები ჯერ ხომ მოინანებ?!
ზევიდან გიყურებ და მინდა დაგინახო
მინდა თავ დახრილს და მუხლებზე გხედავდე
ეგ სიბოროტის გრძნობა გაგილახო
რომ გაფიქრებას ამაოდ ბედავდე
შენი საფლავის ქვაზე წინ  წერია
არ გინდა რომ დარჩე მარტო
დღეს შენ სიკვდილი უთუოდ გიწერია
მაგრამ არ მოკვდები, რატომ?!

***

იმ პატარა გოგონასთვის დაბადება
მხოლოდ მისი მოტრფიალე ბიჭის
მასზე ფიქრში ყოველი დღე აღამდება
ახრა რისი გახსენებაც მიჭირს
გაიზარდა ის პატარა გოგო
რასაც ნატრობს მოტრფიალე ბიჭი
და ველარ ხსნის შეუყვარდა როგორ
ცრემლს მოყვება სიყვარულის ნიჭი
დღეს კი ვნახე თმაგაშლილი ქალი

გაზრდილიყო ის პატარა გოგო
აპრილის თვის ეთავხედა ქარი
ვერ ვიცანი, შევცბი თანაც როგორ
მენატრება ის პატარა გოგო
როცა ვიყავ თმახუჭუჭა ბიჭი
თან მიყვარდა გამალებით როგორ
როცა მქონდა სიყვარულის ნიჭი.

***

ქალის სხეულში ვეტრფი ოხშივარს
ვიგრძნო სრულიად მისი კრთომანი
რომ დავანებო თავი მომჩივანს
და დაიხატოს ცხელი რომანი
სანელებელთა ნორჩი მიმოჭრა
ქალის სხეულს რომ დაჰყვება მკერდამდე
ის ლტოლვა, ახალი კვირტები ვინ მოჭრა?
მინდა სიკვდილზე დავდო და ვერ დავდე
სასიამოვნო ქალის კვნესა და
მელი აღზნების კოლოფთა ძიება
ორ ახალგაზრდას სექსი რომ ეწადა
მათი სხეულნი ერთმანეთს მიება
და ნეტარება სიამოვნების
წუთებში მიმქრალ კოცონად იქცა
მკერდდაკოცნილი ქალიშვილისთვის
ეს ღამე ისევ დღედ გადაიქცა
და არ ნანობდა მხოლოდ იმ წამებს
ორგაზმის განცდას რომ დაეჭირა
სიქსის  წინ როცა იღებდა წამლებს
უმანკოება რომ გაეჭიმა
ქალმა იცოდა რას აკეტებდა
უბრალოდ გული ორად გაიყო
კაცისგან მხოლოდ  ერთგულება და
ბავშვის კეთების მცდელობა იყო.

***

ერთხელ სისხამ დილით ჩუმად გავიღვიძე
სიკვდილს შებოჭილი ედო მარწუხები
დილა უღიმღამო ასე გავიფიქრე
თითქოს შევწუხდი და მაინც არ ვწუხდები
ფიქრი უიმედო სულ თან დამყვებოდა
მინდა რეალობა გულში დავიტოვო
ვცდილობ ვიპოვნო ის, ვინც მე ამყვებოდა
დარჩა მხოლოდ ცდა და ფიქრი „სად ვიპოვო“?
ლექსად მიხარია გრძნობის გამჟღავნება
მუხლზე დაცემულებს ხელს რომ გავუწვდიდი
ბევრჯერ მინატრია „ქრისტეს“ დამგვანება
მაგრამ უნებლიედ ბევრს არ გავუწვდიდი
მტკივა, თან მაფიქრებს ჩემი შეცდომები
ღმერთი მოწამეა, ალბათ გამიწყრება
ის რა დამნაშავე მე თუ ვაშავებდი
მისი შვილი ვარ და ცოტა მავიწყდება
ახლა გავჩუმდები, სიტყვა რეალობას
კარგად გავიაზრებ სანამ ყველა მიტანს
რომ ეს გალაღება არ გავს მეტაფორას
თქვენს წინ მოკვდავია სანამ სული მიდგას
ღმერთო ძალა მინდა არც თუ ისე მეტი
კარგი გავაკეთო არც თუ ისე ცოტა
ვდგავარ სასიკვდილოდ არც თუ ისე მეთი
მაგრამ ცოდვა მომკლავს არც თუ ისე ცოტა
ცოტაც გავიზარდე, ჭკუა მეპარება
ასე გადავწყვიტე ღვთისკენ გავიპარო
მე ის ბიჭი ვარ და უფალს ებარება
თქვენ რომ მოგიწოდებთ უფალს ჩაებაროთ
ნეტა დღეს არ მოვკვდე, თუნდაც ხვალისათვის
ღამეს დავუმსხვრიო მინდა წარმატება
ასი წლის რომ ვიყო, აბა სხვა რისათვის

მინდა ერთი ასის კიდევ დამატება
დროში შეუზღუდავ ვიწრო წარმოსახვას
ფრთები გასაშლელად უფალს მიუცია
მაღლა ზეციდან რომ პირჯვარს გადმოსახავს
ის ხომ სამადლო და მკაცრი მოხუცია
ხოდა ჭეშმარიტი „ქრისტეს“ ვნებანი და
გვმართებს უხილავი გრძნობის დაჯერება
როცა ცრემლი-ოდა ვაზებს ლებანიდან
მოჩანს გოლგოთა და 14-გაჩერება.

## „მანეტო“

ნუ, თუ სამოგზაუროდ მე უშენოდ წავედი
და დაგტოვე უმანკო ქალიშვილად მანეტო
მონატრების გულითსვის მაღლა გორას ავედი
რა ყოფილა ცხოვრება, თუნდაც უერთმანეთო
გაზაფხულის დასაწყისს მერცხალივთ მოვალ და
გულს გაგიშლი მკლავებად სიყვაულის მანეტო
მონატრების ცრემლები ნიაღვრებად მოვარდა
დაწყევლაა ეშმაკის ყოფნა უერთმანეთო
დაღამებას დავუცდი როცა მომიგონებენ
შენთვის ვსუნთქავ სრულიად ერთადერთო მანეტო
ჩემი გული ცხელია, აგერ მოგიგორებენ
დილა რომ გათენდება ისევ უერთმანეთო
წელიწადის ყველა დროს, ერთს კი გამორჩეულად
ზამთარს რომ დავარქმევდი, მხოლოდ შენთვის მანეტო
დიდ გვირილებს ფიფქებად, გიძღვნი ამორჩეულად
რომ ვერ იგრძნო ვერასდროს განცდა უერთმანეთო
დარდმა ისე დაგღალა, სულით ჩემსკენ მოგწიე
ხოდა სულიერადაც ცოტა უნდა გავერთოთ
თორემ როცა ვიყავით, მიწაზე და ხორციელ
სამყაროში, სადაც ჩვენ დავრჩით უერთმანეთოდ.

***

ასე იყო ერთი ბიჭის უცნაური ამბავი
მინდა ხანი გავიდეს და ყველაფეი დამთავრდეს
გვერდში ედგა უფალი, მეტი ახლა აბა ვინ?!
გვერდში დრომა აღარასდროს, მინდა აღარ დამთავრდეს
სახლი ჰქონდა, კარი ჰქონდა, საჭმელი და მეტი რა?!
ლტოლვილი და განდევნილი თავის სახლი-კარიდან
ყოველდღე და ყოველ ღამე სულ რომ აღარ ეტირა
იწყებოდა ბოლოდან და მთავრდებოდა თავიდან
იცი ახლა მიძნელდება ვისაუბრო ამ ბიჭზე
ტავისით რომ შეეჭიდა ამ ცხოვრების დინებას
გართულება შეხვდებოდა თითქმის ყოველ ნაბიჯზე
და იტანდა პუბლიკისგან უსასრულო გინებას
სოხუმელი ბიჭი არის, აფხაზეთის გულიდან
ცხრამეტი წლის ბიჭი იყო დაკარგული თბილისში
ყველაფერი მან დაიწყო თითქმის მინუს ნულიდან
დაიბადა სოხუმში და ზაფხულისთვის ივლისში
ასე იყო ერთი ბიჭის უცნაური ამბავი
დაიწერა და დავხატე მე ამ ბიჭის პორტრეტი
ახლა თქვენვე გადაწყვიტეთ ამ ბიჭისგან რა დადგა
ის ჩემს თვალში მკვდრია და, თქვენს თვალში კი პოეტი...

ISBN 978-9941-0-5610-9